# ისწავლე სახლში

1 კლასი

# კითხვა



შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით – 2018-2024

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

## სერიის კონცეფცია

სერია დაეხმარება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, **ისწავლონ ქართული ენა,** ანუ შეძლონ მშობლიურ ენაზე **გამართულად წერა და კითხვა.**
წიგნებში მოცემული აქტივობები **შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.** კითხვის რვეულებში მოცემული მწყობრი სავარჯიშოების სისტემა ასწავლის პატარა მკითხველებს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებას, ტექსტის ძირითადი კომპონენტების გამორჩევასა და მათ შორის კავშირების დამყარებას, გაუმდიდრებს ლექსიკას. სერიაში შესული ნაწყვეტები მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურიდან პატარებს გემოვნებიან მკითხველებად გაზრდის, წერის აქტივობები კი მათ ნააზრევის სწორად გადმოცემაში დაეხმარება.

## წიგნების სტრუქტურა

თითოეულ კლასში ტექსტები და სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლეთათვის საინტერესო თემების მიხედვით – იქნება ეს თავგადასავალი, წვეულება, საიდუმლო, სოფელი, წიგნის შერჩევა თუ სხვა.  თემები ერთი კლასის ფარგლებში წერისა და კითხვის რვეულებში ერთმანეთს მიჰყვება, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო ღრმასა და საინტერესოს ხდის. თუმცა წერის ან კითხვის რვეულის გამოყენება ცალკეც შეიძლება, იმის მიხედვით, ამა თუ იმ მოსწავლეს რომელი მიმართულებით სჭირდება განვითარება. თითოეული თემის ბოლოს არის შეფასების გრაფა, რომელშიც სამუშაოს კარგად შესრულებისთვის, წასახალისებლად შეგიძლიათ მოსწავლეს ვარსკვლავი, გული ან სხვა სახალისო ფორმა ჩაუხატოთ.

## სერიის გამოყენება

სერიის სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეებმა შინ უნდა იმუშაონ, რადგან საგაკვეთილო საათები ისედაც დატვირთულია. ეს ერთგვარად სკოლაში ნასწავლი მასალის განმტკიცება და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენაა.
პედაგოგებს შეუძლიათ სერიის კომპონენტები გამოიყენონ, როგორც საშინაო დავალების რვეულები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; ხოლო მშობლებს, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ შვილების განათლებაზე, სახლის პირობებში  მთელი კურსის წარმართვის საშუალება ეძლევათ. სავარჯიშოები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს სწავლის პროცესს.

**თინათინ კუხიანიძე**
**მარინა  ბედოშვილი**

ისწავლე სახლში
**კითხვა**
1-ლი კლასი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2018

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ია მახათაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ISBN 978-9941-30-183-4

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 1
Reading

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

www.sulakauri.ge

# სარჩევი


ანბანი . . . 4
სახლი . . . 6
სკოლა . . . 8
ქალაქი . . . 10
სოფელი . . . 12
ტყე . . . 14
საჭმელი . . . 16
მწერები . . . 18
წელიწადის დროები . . . 20
შინაური ცხოველები . . . 22
გარეული ცხოველები . . . 24
ტრანსპორტი . . . 26
არდადეგები . . . 28

# ქართული ანბანი

**1** ცარიელ უჯრაში ჩახატე ან ჩაწერე შესაბამის ასოზე დაწყებული სიტყვა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა  | ბ | გ | დ  | ე ენძელა |
| ვ  | ზ | თ თაგვი | ი | კ |
| ლ | მ  | ნ | ო  | პ  |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟ ჟოლო | რ | ს  | ტ | უ | ფ |
| ქ | ღ  | ყ | შ | ჩ  | ც  |
| ძ  | წ | ჭ  | ხ | ჯ | ჰ ჰამაკი |

**2** ჩაწერე გამოტოვებული ასოები და დააკავშირე შესაბამის ნახატთან.

   

ძა ღ ლი    კა ტ ა    ნია __ გი    ჩი __ ი

  

ველოსი __ ედი    ტა __ სი    ვა __ ონი

  

თო __ ინა    დათ __ ნია    ბუ __ თი

# სახლი

**1** ჩაწერე სიტყვებში გამოტოვებული ასოები.



დი ვა ნი



სა ____ ლი



მ ____ იდა



კარა ____



ბალი ____



სა ____ ნი

**2** ჩაწერე სიტყვები ცარიელ უჯრებში და გააფერადე ნახატი.



**3** არეული სიტყვებით შეადგინე წინადადება და ჩაწერე.

წევს

იატაკზე

კატა

ჭრელი



**4** დახატე და ჩაწერე.

მე

ჩემი მეგობარი

ჩემი მეზობელი



ჩემი მეგობარი არის .

ჩემი მეზობელი არის .

# სკოლა

**1** დაასრულე სიტყვები.





რ ______ ს ______ მ ______





ფ ______ წ ______ ს ______

**2** არეული ასოებით შეადგინე სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| მეირხ | მერხი | ჩნაათ | |
| ფადა | | აცრიც | |
| ლამიკა | | იწიგნ | |

**3** არეული სიტყვებით შეადგინე წინადადება და ჩაწერე.

კითხულობს

მოსწავლე

საინტერესო

წიგნს



**4** ვინ რას აკეთებს?
ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები.



წერს

იწერს

მასწავლებელი დაფაზე ______.

მოსწავლე რვეულში ______.

# ქალაქი

**1** წაიკითხე სიტყვები.

შუქნიშანი | ჯიხური | გზაჯვარედინი

ლიფტი | შადრევანი | გადასასვლელი

**2** ნახატს მიუწერე შესაბამისი სიტყვა











ლიფტი



**3** ხაზით დააკავშირე ტექსტი შესაბამის ნახატთან.

ბაზარში ხალხი ბუზივით ირეოდა.



ხუთი წლის გოგონა დედას ჩამორჩა და გზა დაკარგა. აქეთ ეცა, იქით ეცა და ხმამაღლა ატირდა: დედა, დედიკო!



ხალხს ძალიან შეეცოდა გოგონა, გარს შემოეხვივნენ და ჰკითხეს:
– პაწიავ, გაგვაგებინე, ვინ არის დედაშენი?
– დედაჩემი ის არის, ვინც ყველაზე უკეთესია, – უპასუხა მტირალმა გოგონამ.



**4** შენი აზრით, რას ნიშნავს? ხაზით დააკავშირე სწორი პასუხთან.

ხალხი ბუზივით ირეოდა.

- ხალხი ხმაურობდა.
- ხალხი გაჰყვიროდა.
- ბევრი ხალხი მოძრაობდა.

# სოფელი

**1** წაიკითხე სიტყვები.

ქოხი ძნა წისქვილი

ფარდული ბარი ფიჩხი

**2** ნახატს მიუწერე შესაბამისი სიტყვა.



ფარდული











**3** რას აკეთებენ უფროსები? ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები.

თოხნის    აცვამს



ბაბუა მიწას



ბებო ჩირს

**4** დაალაგე სიტყვები ისე, რომ წინადადება გამოვიდეს.

მარცვალს წისქვილში სიმინდის ფქვავენ.

ცხოველებს შინაურ საჭმელი ბებომ დაუყარა.